სენსაცია არ მომხდარა

ვენა. 1 ოქტომბერი (საკდესის კორ.). “ან სენსაცია მოხდება და ჩვენ მომდევნო ტურში გადავალთ, ან საკუთარ კარში ხუთ ბურთს მივიღებთ”, – განაცხადა “გრაცერის” მწვრთნელმა ზლატკო ჩაიკოვსკიმ თბილისის “დინამოსთან” განმეორებითი შეხვედრის წინ.

მაგრამ არც ერთი და არც მეორე არ მომხდარა. გრაცელ ფეხბურთელებს თბილისში 0:2 დამარცხების შემდეგ, სულ ცოტა, სამი ბურთის სხვაობით უნდა გაემარჯვათ. ეს საკმაოდ ძნელი ამოცანაა ისეთ გამოცდილ მეტოქესთან შეხვედრაში, როგორიც თბილისის “დინამოა” – ერთხმად აღიარებდნენ მატჩის წინ ავსტრიული გაზეთები.

გრაცში შეხვედრის შედეგი ცნობილია – 2:2. პირველი ტაიმის 43–ე წუთზე სახიფათო კონტრშეტევის შედეგად, რომელშიც ჩივაძე და გუცაევი მონაწილეობდნენ, ბურთი გაიტანა შენგელიამ. შეხვედრის 64–ე წუთზე კი მანვე პენალტით მეორედ აიღო “გრაცერ აკ”–ის კარი. ეს იმის შემდეგ მოხდა, როცა გუნდის კაპიტანმა ხოენვარტერმა თავის საჯარიმოზე ხელით ითამაშა.

დინამოელებმა საწადელს მიაღწიეს და გუნდი ერთგვარად მოეშვა. გრაცელი ფეხბურთელები კი განაგრძობდნენ შეტევებს. მალე რიდლმა თბილისელთა კარში გაგზავნა ბურთი. 12 წუთის შემდეგ კი ახალგაზრდა თავდამსხმელმა შვიკერმა, რომელმაც ვაისი შეცვალა, კვლავ აიღო სტუმრების კარი.

ეს მატჩი ქ. გრაცის “ლიბენაუს” სტადიონზე ჩატარდა, რომელიც 20.000 მაყურებელს იტევს. თამაშს კი სულ 6 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო. ეს, ალბათ, პირველყოვლისა ავსტრიის ჩემპიონატში “გრაცერის” სუსტი გამოსვლით აიხსნება, აგრეთვე იმითაც რომ მთელი თამაშის განმავლობაში განუწყვეტლივ წვიმდა. შეხვედრას ბერძენი არბიტრი ზკლატანოსი სჯიდა.

აი, როგორ აფასებს მატჩს ავსტრიის ბეჭდვითი სააგენტოს მიმომხილველი: “მოუხედავად იმისა, რომ “გრაცერმა” შეხვედრა ძალზე დამაჯერებლად და მწვავედ დაიწყო, გუნდს უბრალოდ არც ძალა და არც გამოცდილება არ ეყო, სერიოზული საფრთხე შეექმნა ისეთი კლასის კლუბისათვის, როგორიც თბილისის “დინამოა”… “გრაცერი” ღირსეულად იბრძოდა თასების თასისათვის. ქართველ ფეხბურთელთა დამარცხება შეუძლებელი იყო. სასწაული ფეხბურთში ძალზე იშვიათად ხდება. თბილისელებმა გვაჩვენეს მაღალი კლასის თამაში – სწრაფი, ტექნიკური, კორექტული”…

მატჩის შემდეგ საკდესის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა თბილისის “დინამოს” უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს. სამწუხაროდ – თქვა მან, – ორი დღე–ღამის განმავლობაში წვიმდა და მოედანი საკმაოდ დაზიანდა. ამან ქართველ ფეხბურთელთა ტექნიკური უპირატესობა მინიმუმამდე შეამცირა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევძელით თასების თასის ტურნირის მორიგ ტურში გასვლა.

ავსტრიის გუნდი, – განაგრძო ნ. ახალკაცმა. – საგანგებოდ, და არც თუ ცუდად, მოემზადა ამ მატჩისათვის. მაგრამ მას უბრალოდ ოსტატობა არ ეყო. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიელები განუწყვეტლივ წინ მიიწევდნენ, კარში იშვიათად ურტყამდნენ. მწვრთნელმა მოთამაშეთაგან გამოჰყო ჩივაძის გამოსვლა, რომლის შესანიშნავი რეიდის წყალობით იქნა გატანილი პირველი გოლი, დაასახელა აგრეთვე შენგელია,

რომელმაც საერთო ჯამში “გრაცერს” სამი ბურთი შეუგდო. მისი პენალტი კი ევროპულ ტურნირებში გატანილი მეთერთმეტე გოლი გახლავთ.

მართალია, “დინამომ” დამაკმაყოფილებლად ითამაშა, მაგრამ არ შეიძლება აქვე არ ვაღიარო, რომ მეორე გოლის შემდეგ ფეხბურთელები მოდუნდნენ, უყურადღებოდ დაიწყეს თამაში და 12 წუთის განმავლობაში ორი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში.

რაც შეეხება “გრაცერის” მეორე გოლს – თქვა ახალკაცმა – იგი სადავოა. სპეციალისტების აზრით, რომლებიც თამაშს ესწრებოდნენ, ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, გაბელიამ მოასწრო და ფეხით გამოაგდო. და მაინც, – თქვა მწვრთნელმა, – ნუ დავუწყებთ მსაჯს კამათს.

დასასრულ ნ. ახალკაცმა აღნიშნა შეხვედრის კარგი ორგანიზაცია, მადლობა გადაუხადა გრაცის კლუბის ხელმძღვანელობას გულთბილი მასპინძლობისათვის.

“ლელო”, 3 ოქტომბერი, 1981 წ.